# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№2675 2019 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რათა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ (ს/ნ: 412670097) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ქ. ფოთში, ინდუსტრიულ ზონაში მდებარე 24959 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №04.01.01.776).

2. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში

შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**